ცნობის ფურცელი

№ 2455 შაბათი, 3 აპრილი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2455

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ., ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე —10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში განკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კნეინა ნინო ზექთაბეგოვისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მშობლები გარდაცვალებულისა **კნეინა ელისაბედ ზაალის ასული და თავადი გიორგი დიმიტრის ძე ერისთავნი შვილებითურთ.** პანაშვიდები ყოველ დღე, ნაშუადღევის 1 და საღამოს 7 საათზე; გამოსვენება კვირას, 4 აპრილს, დილის 10 საათზე, საკუთარ სახლიდან, იზმაილოვის ქუჩა, № 5, წმ. იოანნე ღვთის მეტყველის ეკლესიაში, ვერაზე. (3—122—2)

მღვდელნი გიორგი გამრეკელოვი, ბენიამინე კონტრიძე და ილარიონ ჯაში, დავით ალექსის ძე დავიდოვი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ამხანაგთ უეცრად გარდაცვალებას ძვირფასის და დაუვიწყარის ამხანაგის ღვთისმეტყველების კანდიდატის

ნიკოლოზ ქრისტესიას ძის ხუცაიძისას.

ცხედარს გამოასვენებენ საკუთარის სახლიდან (ბაგრატიონის ქუჩა, № 26) ანჩისხატის სობოროში 5 აპრილს, დილის 9 საათზე. დასაფლავება ტფილისის პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ივანე, ანდრო, კოტე ქრისტესიას ძენი და ქეთო ქრისტესიას ასული, ბარბარე იობის ასული და კატო სვიმონის ასული ხუცაიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ უეცრად გარდაცვალებას პირველი ოთხი—საყვარელის ძმისას და უკანასკნელი ორი—მაზლის

ნიკო ქრისტესიას ძის ხუცაიძისას.

გადაიცვალა ქ. სტავროპოლს, 29 მარტს. გვამს გამოასვენებენ სად. ტფილისიდან შაბათს, 3 აპრილს, დილის 9 საათზე და მოასვენებენ საკუთარ სახლში, ბაგრატიონის ქ. №-26. პანაშვიდები შაბათს 8 საათზე და კვირას 7 საათზე საღამოობით. ორშაბათს, 5 აპრილს ცხედარს წაასვენებენ ანჩისხატის ეკლესიაში დილის 9 საათზე, წირვა-პანაშვიდის შემდეგ დაკრძალვენ ავლაბარში, პეტრეპავლეს სასაფლაოზე. (1—1)

კახეთის მევენახეთა საზოგადოება

„კახეთი“

აცხადებს, რომ მარტის 15-დან ღვინო ისყიდება

ბოთლი 20 კაპ., 25 კაპ., 30 კაპ. და მეტად.

უმთავრესი საწყობი და მაღაზია: ერევნის მოედანი, თამამშოვის ქარვასლა. განყოფილება: მიხაილოვსკი პრ. სლივიცკის სახლში № 81. იყიდება აგრეთვე ყველა საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

ქ. ქუთაისში გაიხსნა საზოგადოების განყოფილება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის „**კოლხიდა**“-ს საწყობში და მის ხელმძღვანელობით.

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება „კახეთის“ ფირმის იარლიკებს, რადგანაც თვალის ასახვევად ძლიერ არის გავრცელებული სხვა-და-სხვა მიმგზავსებული იარლიკები. (11—6.—9)

ქართული თეატრი.

კვირას, 4 აპრილს, 1904 წ. ქართულ დრამატიულ არტისტთა დასის მიერ ქ-ნ ნ. **ჩხეიძის**, ბ-ნ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის**, **კ. მესხის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

სამშობლო

ისტ. დრამა 5 მოქ. და 7 სურათად თავ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ნებიერიძე, დავითაშვილი; ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი, ივანიძე, იმედაშვილი, ბაქრაძე, საფაროვი, სარჯველაძე, იორდანაშვილი, მატარაძე, გვარაძე და სხვანი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

(2—6.—1) რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

ძმ. ნიკიტინების ცირკში

შაბათს, 3 აპრილს, ერთ საღამოს სამი ჭიდაობა იქნება: 1, კავკასიური ჭიდაობა ცნობილ ფალავნის **კუსკელისა** და ცნობილ ფალავანის **კონს. მაისურაძის** შორის. პრემია 25 მან. გამარჯვებულს. მეორე კავკასიური ჭიდაობა ცნობილ ფალავნის მედილაურსა და განთქმულ ფალავნის **ცერაძის** შორის. პრემია ვერცხლის საათი. მესამე ჭიდაობა ცნობილ ვარშაველ ფალავნის **ხორვატსა** და დალაქიშვილს შორის. გამარჯვებულს ვერცხლის საათი. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს. ჭიდაობა მოხდება მეორე განყოფილების შემდეგ. (1—119—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. [illegible]—11 საათ.

[illegible] გ. მალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. [illegible]—11 საათამდე.

შ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

მ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. **ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მალალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

ექიმი

ბესარიონ ა. პოპოვი

სწამლობს ყურისა, ყელისა და ცხვირით ავადმყოფებს ორშაბათის გარდა ყოველ დღე 5—7 საათამდე. რეუტოვისა და ავჭალის ქუჩების კუთხის სახლი (რეუტ. № 26). (30—5.—5)

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხისა საზღვარ-გარეთის და ალაგობრივი **ისყიდება** ზომიერ ფასად

ფ. ავსარქისოვის

წამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზა—სადგური სკრა ფ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. (ნ 10—10)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

ქუთაისში

ექიმი ს. ი. ბეგიშვილი

იღებს საბებიო, შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 3—5 საათამდე. გენერალის ქუჩა, სახლი ბენიამინ ქურთოშვილისა.

კბილის ექიმი

ნ. ტყეშელაშვილი

ოლგას ქუჩა № 31. მიიღებს ავადმყოფებს გედევანიშვილის სამკურნალოში დილის 9—10 საათზე სახლში 10—4 საათამდე, კვირაობით 10—2-მდე.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0- 38)

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—3 საათ., საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აპრილი

პეტერბურგი. 1 აპრილს წმ. სპირიდონის სობოროში მთავარ საადმირალოში უმაღლესის თანადასწრებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი 31 მარტს პორტ-არტურთან „პეტროპავლოვსკ“-ზე დაღუპულ დიდ-ოკეანეს ფლოტის უფროსის ვიცე-ადმირალის მაკაროვისა, აფიცრებისა და ჯარის-კაცთა სულის მოსახსენებლად.—გენერალ-მაიორი შევალიე დელა სერრა დაინიშნა მანჯურიის ჯარის რაზმთა შორის მიმოსვლის გამგეობის უფროსად.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა დისკონტს $3^1/_2$ პროცენტამდე დაუწია.

პორტ-არტური. საპერები შტაბს-კაპიტანი ანტროშენკო, პორუჩიკი იონოვი, პოდპორუჩიკები ბარანოვი, კოტელმი და ტრუხინი, ადმირალი ლოშჩინსკი, საკანონირო გემის „სივუჩი“-ს უფროსი და აფიცრები ინკოუდან ულოცავენ აღდგომას ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ.

სევასტოპოლი. პირველ აპრილსათვის დანიშნულია პანაშვიდი უდროოდ დაღუპულ ვიცე-ადმირალის მაკაროვის სულის მოსახსენებლად.

კრონშტადტი. ქალაქის, სამხედრო და სასწავლებელთა ეკლესიებში გადაიხადეს პანაშვიდები საპატიო მოქალაქის ვიცე-ადმირალის მაკაროვისა, „პეტროპავლოვსკი“-ს დაღუპულ აფიცრებისა და მატროსების სულის მოსახსენებლად.

ხარკოვი. ჩემულპოს გმირებს აქ მოელიან 11 აპრილისათვის. ქალაქი ემზადება დასახვედრად. მატროსებს პატივს სცემენ პუშკინის სახელობის ქალაქის სკოლაში. აფიცრებს სადილს გაუმართავენ.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). თითქმის ყველა გაზეთი ბეჭდავს ადმირალ მაკაროვის ნეკროლოგს. დიდად აფასებენ იმის სამსახურს სახელმწიფოს წინაშე და დიდის თანაგრძნობით სწერენ ტრაგიკულ სიკვდილზე. გაზეთები აცხადებენ: მხოლოდ ისეთ საზღვაო სახელმწიფოს, როგორიც ინგლისია, რომელსაც არა ერთხელ გამოუცდია ამგვარი უბედურება, შეუძლიან სავსებით გაიგოს შემთხვევით მიყენებული მწუხარება. მაკაროვის დაღუპვა მწუხარებას გამოიწვევს ყველგან, სადაც კი აფასებენ პატრიოტულ გრძნობებს და ბრწყინვალე ნიჭსა. „დეილი ნიუს“-ი იგონებს ჯავშნიან გემის „ვიქტორია“-ს დაღუპვასა და ადმირალს ტრაინას, რომელიც თავის გემთან ერთად დაიღუპა.—„სტანდარტი“ ამბობს, ცოტაა ისეთი მაგალითი საზღვაო საქმის ისტორიაში, რომელსაც ასე ცხადად დაემტკიცებინოს ის, თუ როგორ შეუძლიან ერთს ნიჭიერსა და მტკიცე ხასიათის კაცს შემოიღოს სამაგალითო წესები და გაამხნევოს ყველანი; ყველა ერის მეზღვაურთ, იაპონიისასაც კი, დაალონებს ადმირალის სიკვდილი.—„ტაიმს“-ს იჭვი არა აქვს, რომ რუსეთის ხალხი სულიერად ძლიერია, მაგრამ ამბობს, რუსეთმა დაჰკარგა ისეთი სარდალი, რომლის მოადგილის პოვნა ადვილი არ იქნებაო.

ბერლინი. პორტ-არტურში მომხდარმა უბედურებამ აქ ყველანი დაალონა. გერმანიის ოფიციალური წრეები დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან დაჭრილ დიდ მთავარს და ადმირალ მაკაროვის დაღუპვის გამო ძლიერა სწუხან. გერმანელები მით უფრო სწუხან, რომ ეს უბედურება საშინელმა შემთხვევამ გამოიწვია და არა მტრის დაცემამ. აქ იმედს გამოსთქვამენ, რომ რუსის ფლოტი ამას იქით მაინც აიცილებს თავიდან ასეთ უბედურ შემთხვევებსაო. აქაური პრესსა დიდის თანაგრძნობით იხსენიებს დაღუპულ ადმირალ მაკაროვს. ბევრმა გაზეთმა მაკაროვის ბიოგრაფია და სურათი დაბეჭდა. განსვენებულ ნიჭიერ და მხნე ადმირალის სასარგებლო მოღვაწეობას ყველა ერთხმად აღიარებს. დიდად ნიჭიერმა და მხნე ადმირალმა თავის ბეჯითობითა და გამჭრიახობით სულ მოკლე ხანში ყველას თანაგრძნობა და პატივისცემა დაიმსახურა. დიდი იმედი ჰქონდათ განსვენებულისა და ეს იმედი მაკაროვმა რამდენადმე გაამართლა კიდევაცაო.

ვენა. „პეტროპავლოვსკის“ დაღუპვის თაობაზე „ფრემდენბლატი“ სწერს: ავსტრ-ჰუნგრეთი გულწრფელად თანაუგრძნობს მეგობარ რუსეთის ერს და მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ეს უბედურება რუსის ჯარის-კაცების სიმამაცეს არ შეარყევსო.

სევასტოპოლი. ადმირალ მაკაროვის უდროვო სიკვდილის გამო სადილი, რომელიც „ვარიაგ“-ისა და „კორეეც“-ის გმირებისათვის უნდა გაემართათ, იმათისავე სურვილით აღარ გაიმართება. სევასტოპოლის მცხოვრებლებმა ადმირალ მაკაროვის მეუღლეს სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნეს.

ადესა. 1 აპრილს ნოვომირგოროდის ეპისკოპოსმა უსამღვდელოესმა კირიონმა აქაურ ჯარის უფროსისა, გრადონაჩალნიკისა, გენერლობისა, ქალაქის მოურავისა, უცხოეთის კონსულებისა, სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლებისა და მრავალ ხალხის თანადასწრებით საკათედრო ტაძარში ჯავშნიან გემ „პეტროპავლოვსკზე“ დაღუპულ ადმირალ მაკაროვისა, აფიცრებისა და მეზღვაურების სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადა.

სევასტოპოლი. ვლადიმირის ტაძარში ადმირალ მაკაროვისა და მოკლულ მეზღვაურების სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს აუარებელი ხალხი დაესწრო. ხალხი მეტად დაღონებული და შეწუხებულია.

ტოკიო („რეიტერის სააგ.“). აქ დილის 8 საათზე კერძო დეპეშამ ამბავი მოიტანა, ადმირალი ტოგო პორტ-არტურ

დაეცა და რუსის გემი „პეტროპავლოვსკი" დაღუპა. დეპეშაში სინანულია გამოთქმული რუსეთის ფლოტის უფროსის დაღუპვის გამო. ადმირალ მაკაროვს დიდ პატივსა სცემდნენ იმისი მოწინააღმდეგე იაპონელი მეზღვაურები. იაპონელებს მეტად უკვირდათ, რომ განსვენებულმა ასე სწრაფად აღადგინა რუსეთის ფლოტის სახელი და უფრო ძლიერ მტერს ებრძოდა.

ლონდონი („რეიტ. სააგ."). „ტაიმს"-მა შემდეგი დეპეშა მიიღო თავის კორესპონდენტისაგან, რომელიც გემზე იყო პორტ-არტურის პირდაპირ: „დილის 4 საათზე დავინახე იაპონიის ესკადრა, რომელიც პორტ-არტურისაკენ მიდიოდა. გემებს შორის იყვნენ „ნისინი" და „კასუგა", რომელნიც პირველად გავიდნენ ბრძოლის ველზე. როდესაც ჩვენ მივუახლოვდით პორტ-არტურს, იქ ვნახეთ იაპონიის ექვსი კრეისერი, რომელნიც ეხმარებოდნენ პორტ-არტურისაკენ საიერიშოდ გაქანებულ ნაღმიან გემებს. იერიში დაიწყო დილა ადრიან. დილის 10 საათზე სანაპირო ბატარეებმა სროლა ასტეხეს. ტოგოს გემებმა სამჯერ მოუარეს რუსების პოზიციას იმ დროს, როდესაც რუსები ზარბაზნებს ისროდნენ. ამასთან ტოგოს გემები 32 ვერსის სისწრაფით მიჰქროდნენ. შუადღისას ტოგომ დაიწია. როგორც ეტყობოდა, ტოგოს დემონსტრაცია უფრო ჰქონდა აზრად, ვიდრე ყუმბარების სროლა. იაპონელების ადმირალს შესამჩნევი ზარალი არ მოსვლია. დღეს პორტ-არტურთან სდგას ნაღმიან გემებიანა იაპონიის 40 გემი".

ტოკიო („რეიტ. სააგ."). ადმირალი ურიუ იუწყება, რომ ადმირალ ტოგოს ესკადრამ ჩასძირა რუსების კონტრ-ნაღმიანი გემიო. იაპონელებს უბედურება არ შემთხვევიათ. დაიჭრა მხოლოდ ერთი კაცი.

ვერსალი. საგენერალო საბჭომ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „საგენერალო საბჭო, დაღონებული რუსეთის ფლოტის უბედურებით, უცხადებს მოკავშირე ერის ხელმწიფეს გულწრფელ თანაგრძნობას".

ბერლინი (სპეციალური). „ნორდ. ალგ. ცაიტ."-ი სწერს: იმ უბედურებამ, რომელიც რუსეთის ფლოტს ეწვია, ძალიან დაალონა გერმანიაო.

ბერლინი (სპეციალური). სეულიდან იუწყებიან, იაპონიის ჯარის უფროსმა სთხოვა კორეის მთავრობას, სეულსა და სხვა დიდ ქალაქებში ჰიგიენური პირობები გააუმჯობესოს, რადგან ზაფხულში ეპიდემიაა მოსალოდნელიო.

ბერლინი (სპეციალური). ვენიდან მოსულ ცნობებით, ყოველ საფუძველს მოკლებულია ის ხმა, ვითომ იაპონიასა და ჩინეთს კავშირი შეეკრათ რუსეთის წინააღმდეგ. ჩინეთის დიპლომატი ამბობს: ძლიერ მოსალოდნელია, რომ ზავი უფრო ადრე შეჰკრან, ვიდრე მოელიანო.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

2 აპრილი

პორტ-არტური. ღამე მეტად ცხარე ბრძოლა მოხდა ნაღმიან გემებისა. ამის შემდეგ 31 მარტს, დილა ადრიან, ჩვენი ესკადრა ზღვაში გავიდა და შეებრძოლა მტერს, რომელსაც 14 დიდი გემი ჰყავნდა. ჯავშნიანი გემი „პეტროპავლოვსკი" დაიღუპა აფეთქებისაგან. გადაარჩინეს მხოლოდ დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე, ექვსი აფიცერი და 32 მატროსი. ჯავშნიანი გემი „პობედა" მცირედ დაზიანდა. მტერი ჩართულ ბრძოლას ერიდებოდა. ჩვენი ესკადრა ნავთ-სადგურში დაბრუნდა თავ. უხტომსკის უფროსობით.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხედრო მოქმედება. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი იწერება ვეი-ჰაი-ვეიდან: 2 აპრილი (ახ. სტ., ჩვენებურად 20 მარტი) ეს არის ეხლა დავბრუნდი. სრული 4 დღე ვმგზავრობდი. ჩრდილოეთ კორეიაში იაპონელების პოზიციები დავათვალიერე და გუშინ პორტ-არტურის წინ გამოვიარე. გენერალ-კუროკის არმია ამ ჟამად მდ. იალუზე ჯარის გადასაყვანად მარჯვე ადგილებს ათვალიერებს. მგონია, რომ გენერალი კუროკი მაგარ სტრატეგიულ ადგილს დაიჭერს იალუზე და ჯერ მეორე არმიის მოსვლას მოუცდის; ამ არმიის მოსვლამდე იალუზე არ გადავა. იაპონელებმა დაწვრილებით შეისწავლეს ის ადგილი, სადაც ეხლა იმათი ჯარი მოქმედებს; ამიტომ რუსის ყაზახები ველარას ჰხდებიან იაპონიის ჯართან. თან-და-თან უკეთესი ამინდი დგება. მიმოსვლა მეტად გაძნელებულია, თუმცა იაპონელები პეჯითად აშენებენ გზებს. სწორედ ვერ გავიგე, მოახერხეს იაპონელებმა პორტ-არტურის ჩაკეტვა თუ ვერა. ვერც ის გავიგე, 14 მარტს, როცა იაპონელებმა პორტ-არტურის ჩაკეტვა სცადეს, მთელი რუსის ესკადრა შიდა რეიდზე იდგა, თუ ზოგი გემი გარე რეიდზე დარჩა. ყველა, ვინც-კი 14 მარტის იერიშში მონაწილეობას ღებდა, ირწმუნება, ჩვენმა მეცადინეობამ ტყუილად არ ჩაიარა, პორტ-არტურის რეიდი ნამდვილად ჩავკეტეთო, მაგრამ თითონ ადმირალ ტოგოს-კი არა სჯერა ეს ამბავი. ადმირალი ამბობს, მეტი გემი რომ გაგვეგზავნა, მაშინ-კი უთუოდ ჩავკეტავდით პორტ-არტურსაო. („პ. ვ.").

„სენტრალ ნიუსი"-ს სააგენტოს საგანგებო კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან: იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, 26 იანვრიდან 20 მარტამდე იაპონიის ფლოტს პორტ-არტურთან მომხდარ 6 ბრძოლის დროს (26-27 იანვარს, 1 თებერვალს, 11-12 თებერვალს, 26 თებერვალს, 9 მარტს და 14 მარტს. 31 მარტის ბრძოლა ჩათვლილი არაა) სულ 14 კაცი მოუკლეს და 91 დაუჭრეს; ამ დაჭრილთაგანაც 9 გარდაიცვალაო. („ბ. ვ.").

„ნიუ-იორკ ჰერალდ"-ს ატყობინებენ: ჩინეთის საუკეთესო ჯარი—25 ათასი კაცი გენერალ მას უფროსობით დღესაც მანჯურიის საზღვაზე დგას. ეს გარემოება ძლიერ აფიქრებს საფრანგეთის პოლიტიკოსთა წრეებს, რადგან გენერალი მა დიდი მომხრეა იაპონიისა. მა დაჰხედავს, როგორ წავა სამხედრო მოქმედების საქმე და თითონაც იმისდა გვარად მოიქცევაო. („ბ. ვ.").

პირველი ბრძოლა პორტ-არტურთან. იაპონელი ლეიტენანტი მასუმურა იაპონურ გაზ. „კოკუმინ"-ში შემდეგსა სწერს ამ ბრძოლის თაობაზე: „ჩვენი ესკადრა საბრძოველად დაემზადა. 25 იანვარს ესკადრის უფროსმა ვიცე-ადმირალმა ტოგომ ფლაგმანები და კაპიტნები თავის ჯავშნიან გემ „მიკასაზე" შეკრიბა და სამხედრო თათბირი გამართა. თათბირმა მთელი ღამე გასტანა. ამ კრების შემდეგ ფლოტის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე რაზმები, ნაღმიანი გემები და კონტრ-ნაღმიანი გემები (ნაღმიან გემების გამანადგურებელი) ნავთ-სადგურ სასებოდან გავიდნენ და ყვითელ ზღვისაკენ გაემართნენ. ზღვაში ორი გემი დავინახეთ. ჩვენი გემი „ტასუტა" გამოუდგა; ერთი გემი რუსის გემი „როსია" გამოდგა, ამიტომ მაშინვე დავიჭირეთ. ჩვენი მეზღვაურები ხუმრობდნენ, ზღვაში გასვლის უმალ „როსია" (რუსეთი) დავატყვევეთო. ნაშუადღევის 1 საათზე ჩვენი ესკადრა მოკპოში დადგა. აქ მზვერავმა გემმა „ასაკიმ" ამბავი მოიტანა, რუსის ესკადრა პორტ-არტურის გარე რეიდზე დგასო. ნაშუადღევის 4 საათზე ტოგომ მეოთხე რაზმი ჩემულპოში გაგზავნა ქვეითა ჯარის დასაცველად. როცა მეოთხე რაზმი ჩვენ ესკადრას მოჰშორდა, ადმირალმა მეოთხე რაზმის უფროსს კონტრ-ადმირალ ურიუს სიგნალით უთხრა: „გამარჯვებას ეხლავე გილოცავთო". ურიუმ უპასუხა: „მადლობელი ვარ მილოცვისათვისაო". ჯავშნიან გემებზე „მიკასასა" და "იძუმაზე" მუსიკამ დაუკრა, მეოთხე რაზმი ჩემულპოსაკენ გაემართა, უმთავრესი ესკადრა პორტ-არტურისაკენ.

მთელი ღამე სულ მტრის ზვერასა და დარაჯობაში გავათენეთ. ერთს გემს არ ვუშვებდით გაუსინჯავად. ზღვა ძლიერ ჰღელავდა; კონტრ-ნაღმიან გემებს წინ სიარული მეტად უჭირდებოდათ. მაგრამ დილით მშვენიერი დარი დადგა. ჩვენი ესკადრა პირდაპირ შანდუნის კონცხისაკენ როდი წავიდა, რადგან იქ რუსები ადვილად შეგვნიშნავდნენ, მესამე რაზმი ზღვის დასაზვერად დავტოვეთ, თითონ ესკადრა კი იუენტაუს ბუხტაში დაიმალა. 26 იანვარს, საღამოს ექვს საათზე ადმირალმა, ტოგომ ბრძანება გასცა, კონტრ-ნაღმიანმა გემებმა (ნაღმიან გემების გამანადგურებლებმა) იერიში მიიტანონ რუსის ესკადრაზეო. ადმირალმა სიგნალით უთხრა ნაღმიან გემებს: „წადით და მტრის ესკადრა ააფეთქეთ. გამარჯვებით!" ნაღმიან გემების მეზღვაურებმა უპასუხეს ადმირალს: „იმედი გქონდეს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთო". ყველა გემის მეზღვაურები პალუბაზე ავიდნენ და ნაღმიანი გემები დიდის ალტაცებით გააცილეს: ყველა გზას ულოცავდათ. ნაღმიან გემების პირველი, მეორე და მესამე რაზმები პორტ-არტურისაკენ წავიდნენ, მეოთხე რაზმი კი დალნისაკენ. უმთავრესი ესკადრაც ჩიფუსაკენ გაემართა.

დალნიში გაგზავნილი რაზმი დაბრუნდა და შეგვატყობინა, რუსის გემები ვერა ვნახეო. სამი რაზმი კი პორტ-არტურს მიუახლოვდა, რუსის ესკადრაზე იერიში მიიტანა და რუსის 4 გემი დააზიანა. რუსებმაც ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ ვერც ერთი ნაღმიანი გემი ვერ დააზიანეს.

ჩვენი ესკადრა ბეჯითად ჰდარაჯობდა მთელ ღამეს. გათენების დროს კრეისერი „ჩიტოსე" პორტ-არტურისაკენ დასაზვერად გავგზავნეთ. „ჩიტოსე" მალე დაბრუნდა და ფლოტის უფროსს შეატყობინა, ორი რუსის გემი იძირებაო. ადმირალმა მაშინვე ბრძანება გასცა, მთელმა ესკადრამ იერიში მიიტანოს პორტ-არტურზეო. მალე პორტ-არტურს მივუახლოვდით და რუსეთის ესკადრა დავინახეთ. რუსის გემებში მხოლოდ ხუთი ან ექვსი თუ უშვებდა ბოლს, დანარჩენი სულ გვერდზე გადახრილი იდგა.

ფელეტონი

—

ჩვენებური საქმიანობა

წინა წერილში („ცნ. ფურც." № 2444) ჩვენ მოვიყვანეთ რამდენიმე მაგალითი, რომელიც ახასიათებს ევროპიელისა და საზოგადოდ კულტურით დაწინაურებულ ხალხის მუშაობას, და დავუპირდაპირეთ ჩვენებურ უსისტემო და უწეს-რიგო საქმიანობას. იქაც ვთქვით და აქაც უნდა გავიმეოროთ, რომ შრომა-გარჯა, ვითარცა ადამიანის ძალ-ღონის ხარჯვა განსაზღვრულ მიზნის მისაღწევად, არ წარმოადგენს ისეთ რამეს, რომელიც ვითომ საერთო ცვლილებისა და განვითარების კანონს არ ექვემდებარებოდეს და არ ემორჩილებოდეს. კულტურის სხვა-და-სხვა საფეხურზე მყოფ ხალხთა ცხოვრების გაცნობა და შესწავლა ცხადად გვიმტკიცებს, რომ შრომასაც, როგორც ყველაფერს, უნდა შესწავლა და შეთვისება. ეს შესწავლა ჰხდება საერთო სოციალურ ცხოვრების განვითარებით და ახალ-თაობის გონივრულ აღზრდით. და სწორედ ამგვარ შესწავლის შედეგია ის, რომ კულტურული და უკულტურო ადამიანი ასე დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან შრომა-გარჯის მხრით. საკმარისია გავიხსენოთ ევროპიულ აღზრდის ერთი ნიშნობლივი მხარე, რომ აღარ გაგვიკვირდეს ევროპიელის ფხიზელი საქმიანობა და სრულიად ბუნებრივად გვეჩვენოს გერმანელის გინდ ინგლისელის დალაგებული და მიზან გათვალისწინებული მეცადინეობა.

ინგლისში,—სწერს ლეკლერკი (L'Education en Angleterre, გვ. 31),—„იმ დღიდანვე, როცა ბავშვი ფეხს აიდგამს და საგნების გაგებას იწყებს, მისი აღზრდა დაფუძნებულია თვით-[illegible]ბასა და გაძლიერებაზე. ბავშვს ადრევე ასწავლიან, რომ იგი უნდა დაენდოს მხოლოდ თავის ძალ-ღონეს; უღვიძებენ პასუხის-მგებლობის გრძნობას და აძლევენ თავისუფლებას მოახდინოს არჩევანი კარგსა და ცუდს შორის: თუ ცუდად მოიქცა, იგი თვითონვე განიცდის და სწვნევს თავის მოქმედების შედეგს; მას არავინ დარაჯობს და არ ეხმარება, რომ არ დაეცეს; არავინ უთვალ-თვალებს, რომ მოასწროს და დაიჭიროს შეცდომის დროს. მას უნერგავენ გულში ზიზღს ცრუობისადმი; ყოველთვის სიტყვას დაუჯერებენ და ენდობიან, სანამ არ დამტკიცდება, რომ იცრუა და ტყუილი სთქვა. იგი იზრდება და ჰხდება ენერგიული და პირდაპირი, თვით-მომქმედი და ყოჩაღი. იგი ენდობა თავის თავს და ღირსია სხვისი ნდობისაც; პატარაობიდანვე დაჩვეულია მხოლოდ თავის საკუთარ ძალ-ღონეს დაენდოს და ამიტომ სხვასაც შეუძლია მისი იმედი და ნდობა იქონიოს".

ასე დიდ ყურადღებას აქცევენ იქ მოზარდ თაობის პირად ენერგიის გაძლიერებას და შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას. და ეს არა მარტო ინგლისში, არამედ ყველგან—დაწინაურებულ ქვეყნებში. „სულ ერთია,—მოგვითხრობს მეორე მწერალი ამერიკის შესახებ (M. Dugard, La Société Américaine, გვ. 211—216),—შეისწავლით პედაგოგების ნაწერებს, დაესწრებით მასწავლებელთა კრებებს, თუ გადაიკითხავთ ინსპექტორების სასკოლო ანგარიშებს,—ყველგან ერთ მთავარ პრინციპს გაიგებთ, რომელსაც აქ სწავლა-აღზრდის საქმეში აღიარებენ: რომ ხასიათის ძალა-სიმტკიცე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ძალა გონებრივიო. ამერიკის ფილოსოფოსი ემერსონი, რომელიც დიდი იდეალისტია, ყველა სათნოებაზე მაღლა ენერგიას აყენებს და ამბობს, რომ ცხოვრება ინტელექტუალიზმის („გონებრივობის") და კრიტიკის ნაყოფი კი არაა, არამედ მოქმედებისო. მასწავლებელმა არას დროს არ უნდა დაივიწყოს,—სწერია სასკოლო ცირკულიარებში,—რომ თითოეული მოსწავლე ამერიკის მოქალაქეა და ყოველ გვარ სწავლებაში, განსაკუთრებით კი გეოგრაფიისა და ისტორიისა, მთავარი ყურადღება პატრიოტიზმის საკითხს უნდა მიექცეს, რომ ბავშვს ჩაენერგოს გულში თავის ერის მიმართ უსაზღვრო სიყვარული და აღფრთოვანება. ჩვენ უცილობელ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია,—სთქვა ერთმა ინსპექტორმა პედაგოგების კონგრესზე,—რომ ხასიათის შექმნა-შემუშავება უმაღლესი მიზანია სკოლისა და, მაშასადამე, ზნეობის განვითარება შეადგენს სკოლის პირველ მოვალეობას; ჩვენ ვფიქრობთ, რომ ენერგიის განვითარება არსებითი ელემენტია ზნეობრივის კულტურისა.—თვით-მოქმედების პრინციპის წყალობით, რომელიც გამეფებულია აქაურ სწავლა-აღზრდის საქმეში, მოზარდ თაობას ეძლევა შეძლება გაიცნოს ცხოვრება და თვითონვე განიცადოს თავის მოქმედების შედეგნი; ამერიკელი ბავშვი პატარაობიდანვე იძენს საგანთა ცოდნას და მოქმედებაში გამოცდილებას. ეს გამოცდილება და აგრეთვე გრძნობები, რომლებსაც უნერგავს მას გულში მშობლების ოჯახი,—ცრუობის ზიზღი, შრომის სიყვარული, მისწრაფება, თავმოყვარეობა, ზნეობრივ საგანთა პატივისცემა,—ჰქმნიან მის ხასიათს და სულიერ აგებულებას. ასე მომზადებულ პატარა ამერიკელს, ჯერ კიდევ სანამ იგი სკოლაში შევიდოდეს და იქაურ კეთილ ნაყოფიერ გავლენას განიცდიდეს, ემჩნევა რაღაცნაირი სერიოზული და მტკიცე გამომეტყველება. მე ვაკვირდები პატარა ჯონის, ერთი ჩემი მეგობრის შვილს, რომელიც ხშირად მოდის ჩემთან და მესაუბრება. იგი რვა წლისაა: ნაკვთები განვითარებული აქვს, მაგრამ დაიარება, აქვს სახე გაშლილი და თვალები ნათელი, რომლებითაც პირდაპირ შემოგცქერის; მთელს მის არსებას ემჩნევა სიმტკიცე და ძალა. ყოველ მიცემულ კითხვაზე იგი პასუხს იძლევა ნათლად,—დაუბნევლად; იგი მაძლევს ხოლმე პარიზისა და საფრანგეთის შესახებ სწორ კითხვებს და იგებს ჩვენი ცხოვრების წვრილმანებს. მას საქმეების გაკეთებაც შეუძლია: შეუძლია ბილეთი აიღოს სადგურში, ბარგი აწონინოს და ჩააბაროს, ვაჰარს ანგარიში გაუსწოროს, თქვენ წაგყვეთ და ქალაქი დაგატაროთ. თავისი დამოუკიდებელ თვით-მოქმედებითა და პრაქტიკულ გონიერობით იგი უკვე კაცია, კაცი მცოდნე და გამოცდილი. და ჯონი ჩვეულებრივი ბავშვია. მისთანა ბავშვები მილიონობით მოიპოვებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში".

და რაღა გასაკვირია, რომ ის, ვინც ბავშვობიდან ამნაირად იზრდება, ცხოვრებაში ქართველსავით უენერგიო და დოყლაპია არ იყოს! დაწინაურებულ ხალხებში აღზრდა,—აღზრდა როგორც შინ, ისე სკოლაში,—სხვა სოციალურ პირობებთან ერთად, ჰქმნის კაცის სიცოცხლით სავსე ბუნებას და ავითარებს ადამიანის დაუცხრომელ საქმიანობას. იქ ყველა მოქმედობს, ყველა იღვწის, რამეს აკეთებს და აკეთებს დაწყობილის გეგმით და გათვალისწინებულ მიზანთან შეთანხმებით. სწორედ ის, რაც არ ეხერხება ჩვენს ქართულ ბუნებას, ახასიათებს ევროპიელის გარჯას და მოქმედებას. გავიხსენოთ მაგალითისათვის იგივე უცხოელი მწერალი, რომელიც ჩვენ ამ წერილის დასაწყისში გვყავს ნახსენები. მერცბახერი 1890 წელს იყო ჩვენში რა თქმა უნდა, მას მაშინვე ჰქონდა მიზნად თავისი მოგზაურობის აღწერა და წიგნად გამოცემა. სწორედ ათი წელიწადი გავიდა, სანამ იგი თავის სურვილს შეასრულე-

პირველად ადმირალის ჯავშნიანმა გემმა „მიკასამ“ გაისროლა ზარბაზანი, „მიკასას“ ხელად სხვა გემებიც მიჰყვნენ. ჩვენ გემებსაც ჰხვდებოდა რუსის ყუმბარები, მაგრამ ბევრს ვერას აკლებდა. ჩვენი გასროლილი ყუმბარა კი თითქმის უკლებლივ ჰხვდებოდა რუსის გემებს და ძლიერაც აზიანებდა. შიმოზეს (იაპონელი აფიცრის გვარია) თოფის წამალი მეტად კარგი გამოდგა. ბრძოლის დაწყების უმალ, სულ 5 წამი არ გასულიყო, რომ დავიჭერი. იმპერატორის ნათესავი პრინცები ყველანი უვნებლად გადარჩნენ. პრინცი კაჩო „მიკასაზე“ იდგა, 12 დიუმიან ზარბაზნის სროლას ხელმძღვანელობას უწევდა და ერთი მტრის გემი დააზიანა კიდევაც. „იაკიმოზე“ პრინცი იმასინაც მეტად მამაცად იბრძოდა.

ბრძოლის წინ პორტ-არტურს ახლო კრეისერმა „ტაკასახომ“ რუსის გემი „მანჯურია“ დაატყვევა („რ. ი.“).

ახალი ამბავი

◆ როგორც მკითხველებმა უწყიან, 31 მარტს შესრულდა 25 წელიწადი, რაც დამტკიცდა წესდება **„წერა-კითხვის საზოგადოებისა“**. ამის გამო „საზოგადოების“ გამგეობამ მილოცვის დეპეშები მიიღო საქართველოს სხვა-და-სხვა მხრიდან. როგორც გავიგეთ, არავითარი საიუბილეო დღესასწაული არ იქნება გამართული, ხოლო ამ წლის 15 მაისს შესდგება საიუბილეო წლიური საზოგადო კრება. სწორედ 25 წლის წინად 15 მაისს შესდგა პირველი საზოგადო კრება „საზოგადოებისა“. სხვათა შორის, მისალოცი დეპეშები საზოგადოებამ მიიღო: გორსა, კავკავსა, ბაქოსა, ბათუმსა, განჯასა, ბალახანასა და სხვა ადგილებიდან. რადგან მრავალი დეპეშაა მიღებული, ადგილის სიმცირის გამო იმათ შინაარსს ამ ჟამად ვერა ვბეჭდავთ.

◆ ამას წინად გუბერნატორმა წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის გამგეობას, წარუდგინოს ცნობები **„საბურთალოს“ და „ვაკეს“** ქალაქზე შემოერთების შესახებ. გუშინ ქალაქის მოურავმა გუბერნატორს ამ საქმის შესახებ მოხსენება წარუდგინა. სწერს: „საბურთალოს“ შემოერთების შესახებ საკითხი ჯერ კიდევ 1899 წელს აღიძრა გამგეობაში. რამდენისამე ხნის შემდეგ თვით „საბურთალოსა“ და „ვაკეს“ მცხოვრებთ სთხოვეს გამგეობას ამ ადგილის შემოერთება. გამგეობამ დაავალა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს, მოელაპარაკნა მცხოვრებლებთან იმის შესახებ, რას გაიღებდნენ იგინი ამ ადგილების დაგეგმასა და მოსაწესრიგებლად. როგორც გამოირკვა, ბევრს არც კი უნდოდა ამ ადგილის შემოერთება. გამგეობამ მიანდო თავ. ჩერქეზიშვილს ხელმეორედ მოელაპარაკნა და ადგილები დაეთვალიერებინა. თავ. ჩერქეზიშვილს ტეხნიკოსებთან ერთად გამოურკვევია, რომ ქალაქს ძალიან ბევრი ფული დასჭირდება აღნიშნულ ადგილების მოსაწესრიგებლად, თუ ვინიცობაა ქალაქს შემოუერთდა. ქალაქის მოურავმა აცნობა აგრეთვე გუბერნატორს, რომ ვარაზის ხევის მცხოვრებლებმა ცალკე განცხადებით სთხოვეს გამგეობას, ეს კუთხე ქალაქს შემოუერთოს და პირობაც დასდეს, ვარაზის ხევზე ჩვენის ხარჯით ხიდს გავაკეთებთ, ვიკისრებთ ხარჯს ქუჩების მოსაკირწლავად და ადგილების დასაგეგმავადაო. მიუხედავად ამ აღთქმისა, ვარაზის ხეველებს აქამდე არაფერი არ გაუკეთებიათ, თუმცა ბევრჯელ მოაგონა გამგეობამ.

◆ **არსდება ახალი საზოგადოება „რუსეთ-აზიის სამთო-მადნო საზოგადოება“**, რომელმაც უმთავრესად კავკასიაში უნდა შეიძინოს მთა-მადნები და შეუდგეს წარმოებას. თანხად საზოგადოებას ექმნება 1,500,000 მანეთი, გაყოფილი 5000 პაიად; თითო პაი ეღირება 250 მანეთი. გამგეობა საზოგადოებისა პეტერბურგში იქმნება. წესდება უკვე წარუდგინა დასამტკიცებლად ფინანსთა სამინისტროს.

◆ **შიდა რუსეთიდან გლეხთა გადმოსახლების** საქმის უფროსის თანაშემწემ სტანკევიჩმა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდან გადაიდოს 10,000 მანეთი გზების გასაყვანად ჩერნომორის გუბერნიის ერთ ადგილას, სადაც გადმოსახლებული რუსნი სცხოვრობენ და ახლებსაც ასახლებენ. ამ საქმის განსახილველად, როგორც „კავკაზ“-ი გადმოგვცემს, გენ.-მაიორის ტროფიმოვის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია, რომელმაც პრინციპიალურად სასურველად და საჭიროდ სცნო გადმოსახლებულთა საჭიროებათათვის ადგილობრივ საერობო თანხიდან ფულის გადადება. კომისიამ დაადგინა, დაავალოს ტეხნიკოსს გამოიკვლიოს გზის გაყვანის საქმე ზემოხსენებულ ადგილას.

◆ 18 აპრილიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე შემოღებულ იქმნება **მატარებლების მიმოსვლის** საზაფხულო წესი.

◆ **ტფილისის მოქალაქეთა მამასახლისის** თანამდებობის აღსრულებას, ი. ს. ბუდანოვის ნაცვლად, რომელმაც თავი დაანება სამსახურს, 5 აპრილიდან შეუდგება კანდიდატი დანდუროვი. მალე მოხდება მოქალაქეთა რწმუნებულების კრება მამასახლისის ასარჩევად და სხვა საქმეების განსახილველად.

◆ კვირას, 4 აპრილს, **შულავერში მიდის** ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია ჩემესოვის თავმჯდომარეობით. სესია შულავერში დაჰყოფს დაახლოვებით 10 დღემდე, რადგან ბევრი საქმე აქვს განსახილველი.

◆ კნ. ნინო თარხნიშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ: „გულითად მადლობას ვუცხადებ როგორც მამადავითის ქალთა სამრევლო სკოლის მოწაფეების, ისე ჩემის მხრივ იმათ, ვინც შემეწია სააღდგომო სადღესასწაულო საუზმის გამართვის დროს. იმათი სია: გენერალი ქვ. ან. გამრეკელი, გ. ვ. დოლგოვი, ნ. ვ. ჟუკოვი, მღდელი ნ. მაჭარაშვილი, ნატ. მ. ელიზბარისა, კნ. მ. და ან. ჩავნაძის, და თვით სკოლის მასწავლებელი დარია ლაზრევი. განსაკუთრებით მადლობას ვუცხადებთ ამავე სკოლის მზრუნველს კნეინა ალექსანდრა მამუკას ასულს მელიქიშვილისას, რომელმაც უხვის შემწეობით გაამშვენიერა სადღესასწაულო საუზმე“.

◆ მოხვა (შორაპნის მაზრა). 25 მარტს, დღისით, ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი თავს დაეცნენ რაჭის მაზრაში მიმავალ გლეხებს მაისურაძესა და ორს ჯოხაძეს და გაძარცვეს. წაართვეს ფულს გარდა ნავაჭრი ნივთები. გამორკვეულა, რომ ამ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობა მიუღიათ მოხვაში მცხოვრებ ომიაძესა და პეტრიაშვილს. ესენი დააპატიმრეს.

◆ ეთო (შორაპ. მაზ.). 29 მარტს, დღისით, ცეცხლი წაეკიდა ამ სოფლის მცხოვრების ამბაკო ქველაძის სახლს და გადაიწვა. ცეცხლი მალე გაძლიერდა და ვერაფერი გადაარჩინეს ჩალით დახურულ ხის შენობებში.

◆ სადგური დარკვეთი (ჭიათურის გზა). 24 მარტს ყვირილის პირად ნახეს წყლისაგან გამორიყული გვამი, რომელიც აღმოჩნდა რაჭის მაზრის სოფ. შქმერის მცხოვრები გლეხი პეტრე კოპლაძე. კოპლაძეს ამ დღეს დაელია ღვინო დარკვეთში და შემდეგ წასულიყო რაჭისაკენ. გზაზე ჩავარდნილა ყვირილაში და დამხრჩვალა.

◆ 1 ნაწილის ბოქაულმა აცნობა ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებას, რომ მე-2-ე კირპიჩნი ქუჩაზე მცხოვრებს სიმონოვს ისე გამოუთხრია მიწა კვესაძის სახლის გვერდზე, რომ შესაძლებელია ეს სახლი ჩამოიქცეს და რაიმე უბედურება მოხდესო. ბოქაული სთხოვს არქიტექტორს შეამოწმოს სახლი.

◆ 31 მარტს ტფილისის სადგურზე უეცრად გარდაიცვალა ზაქათალის ოლქის მცხოვრები მაშადი-აზინ-ოღლი 55 წლისა, რომლის გვამიც რკინის გზის ლაზარეთში გაგზავნეს.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო ტფილისის საფერშლო სასწავლებლის მასწავლებელ ბ-ნ ივანოვს იმავე სკოლის დარბაზში წაიკითხოს საჯარო ლექცია „იაპონია და იაპონელნი“.

◆

წერილი გურიიდან

დღესასწაულები.—ომი და გურულები.—მეაბრეშუმეობა და ჩრჩილიანი სიმინდი.

დადგა დღესასწაულები და ბოლო მოეღო ხანგრძლივ მარხულობას. სოფლელები კარგ გუნებაზე არიან, ერთმანეთს მხიარულად უხვდებიან, „ქრისტე აღსდგას“ ულოცავენ და ჰკოცნიან. საუბედუროდ, ეს მხიარულება ხანგრძლივი არაა. გაივლის კიდევ რამდენიმე დღე, დღესასწაულები მოთავდება, სააღდგომოდ ნაყიდი სურსათი გამოილევა და სოფლელი ისევ მიეცემა შავს ფიქრებს ცხოვრების ულმობლობაზე. დადგა თუ არა დღესასწაულები, აფრიალდა ქორწილში მისაპატიჟებელი ბარათები: „გვეწვიეთ, გაამხიარულეთ ოჯახი ჩვენი“, იწერებიან სტუმართ მოყვარე მექორწილენი. რას იზამ, ორ ცეცხლს შუა იმყოფები: ეწვევი, მექორწილეს, საჩუქრები უნდა მიართვა, ძველს ვალებს ახალი ვალები უნდა მიუმატო, არ ეწვევი და მშვიდობით მოყვრობავ, დაეკარგვით ერთმანეთს სამუდამოდ. ამ ბოლო დროს გურიის ერთ კუთხეში ქორწილებში ცვლილების შეტანა მოუხერხებიათ. ჰფიქრობენ, სადილ-ვახშამის მაგიერ წვეულებს საუზმეულობით გაუმასპინძლდნენ და ამით ხარჯი შეუმსუბუქონ მექორწილეს.

გურულები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ომიანობას. თუ გაზეთი შეგამჩნიეს ხელში, მაშინვე შემოგქალტავენ: „წაგვიკითხე, ძმავ, ჩხუბის თაობაზე თუ რამე სწერია შიგ“-ო გვეხვეწებიან. ზოგს თავისი საკუთარი აზრი აქვს შემდგარი. ბევრი დარწმუნებულია, რომ თუ ვინიცობაა ევროპიელთა ჩხუბი ასტყდა, მტრები ჰაეროსტატის შემწეობით „ნავთს გააწვიმებენ“, ცეცხლს წაუკიდებენ და ერთმანეთის ბანაკებს ამოსწვავენო. ამას წინად, ჯერ კიდევ ბინდი არ დასცემოდა დედამიწას, რომ ზეცას მოსწყდა ვეებერთელა ცეცხლის ბურთი, გადასრიალდა ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ჩაიყურყუმელავა ცის უფსკრულში. როგორც იწერებიან, ეს გადვივებული ბურთი ლეჩხუმელებსაც დაუნახავთ, დიდად დაშინებულან და მკითხავ-მლოცველებთან გაქცეულან მიზეზის გასაგებათ. გურულები თუმცა ლეჩხუმელებივით არ დაუშინებია ამ საოცარ მოვლენას და არც უკითხავნებიათ, მაგრამ იმათი აღმამფრენი ოცნებაც ძალიან შორს წავიდა. ბევრი ჰფიქრობს, რომ ეს ბურთი უსათუოდ ევროპიელების ჰაეროსტატი იყოვო.

გურულები შეუდგნენ აბრეშუმის თესლის ყიდვას. შარშან უთესლობის გამო ბევრი დარჩა ხელ-ცარიელი, შიშობენ, წელსაც იგივე ბედი არ გვეწვიოსო. დიდი ხანია გურულები მეაბრეშუმეობას მისდევენ, მაგრამ ყაჭის მოვლა კეთება ჯერ

ბდა. ამ ხნის განმავლობაში იგი მეტოდიურად მუშაობდა, თავის საქმესაც არ სტოვებდა (სავაჭრო სახლი ჰქონდა მიუნხენში) და მეცნიერულ საგანსაც ემსახურებოდა. ამ ბოლოს დალაგებულმა საქმიანობამ თავისი ნაყოფი მოიტანა, რომელსაც ძნელად მიაღწევდა ქართველის აფუცხურებული და ხანმოკლე ენერგიაზე დაფუძნებული მუშაობა: გერმანელ ავტორის ნაწარმოები შეადგენს ორ დიდ ტომს და შეიცავს მდიდარს საბუთებისმეტყველო მასალას. და მერცბახერი, რომელიც ჩვენ ზარმაცებად გვთვლის, ერთი მაგალითია მილიონებში. მერცბახერისებურ შრომითაა, რომ გერმანიის კულტურა და მეცნიერება წინ მიდის, მდიდრდება და ვითარდება. იქ შრომა და გარჯა არ ითვლება ღვთის რისხვად, რომელიც ვითომ მოვლენილია ადამიანის დასასჯელად და გასაწვალებლად. შრომის ჩვეულებას და ბარაქიან საქმიანობას ბავშვობიდან ეჩვევა იქ ადამიანის არსება: მუდმივ და დალაგებულ შრომას ეწევა როგორც თავისუფალ პროფესიის ხალხი ანუ ინტელიგენცია, ისე ხალხის დაბიო ნაწილი,—ფიზიკურად მშრომელი უმრავლესობა. ამ მოვლენის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს უეჭველად ახალთაობის წესიერი აღზრდა და მისი ნორმალურის წესით გა[illegible]თარება.

სამწუხაროდ, ეს თვისება აკლია ჩვენში როგორც ოჯახს და ოჯახურ ცხოვრებას, ისე სკოლას და სასკოლო აღზრდას. ჩვენი მოზარდი თაობა ვერ იძენს ვერც ოჯახში და ვერც სკოლაში შრომის სიყვარულს და დაწყობილ საქმიანობის ჩვეულებას. უვიცი და მოუმზადებელ მშობლებს არ შეუძლიანთ, რასაკვირველია, აღზრდაში შვილის წინამძღოლობა და მისი სასურველ გზაზე დაყენება. ხშირად ქართველი დედა თუ მამა ასე ახალისებს სწავლაზე თავის შვილს: იკითხე, ისწავლე წიგნი და რომ გაიზრდები, ბატონურად იცხოვრებ, შრომა და თავის შეწუხება არ მოგინდებაო. სწორედ იმის წინააღმდეგს აგონებს ბავშვს იგი, რასაც ინგლისელი გინდ ამერიკელი. მეორე მხრით, ოჯახის დანაკლისის შევსებას სრულებით არ კისრულობს არსებული სკოლა და ოფიციალური სწავლა-განათლება. ამის შინაარსია პოლიტიკაზე აგებული მიმართულება და მიზანი—მეხანიკურად მომზადებულ ჩინოვნიკების გამრავლება. ერთის სიტყვით, ქართველი ბავშვი ვერ ჰხედავს ვერც მშობლების სახლში და ვერც სასწავლებლის კედლებში ისეთ კულტურულ სფერას, რომელსაც შეეძლოს იქონიოს მასზე ზედ-მოქმედება და მისცეს მის ზნეობრივ არსებას სასურველი ძალა და მიმართულება.

ამიტომაც არის, რომ ჩვენი ინტელიგენცია ასე უსაქმური, ფუქსავატი და უშინაარსოა. Dolce far niente—ნეტარი უსაქმურობა, აი ის იდეალი, რომელიც მას დაუსახავს და თავის სათაყვანებელ საგნად გაუხდია. მას ყველაფერი უყვარს, გარდა გარჯა-შრომისა და შინაარსიან საქმიანობისა. ეს „ინტელიგენტური“ ზნე, მიუხედავად აღზრდის ცუდ-პირობებისა, დღევანდელსავით დიდი და თვალსაჩინო არ იქნებოდა, რომ ჩვენს „განათლებულებში“ ბლომად მოიპოვებოდნენ იმ წოდებათაგან გამოსულნი, რომელნიც ისტორიულად უფრო დაჩვეულნი არიან შრომასა და პრაქტიკულ მოქმედებას. ასეთი ელემენტები არიან: გლეხობა, ვაჭარ-ხელოსანი ხალხი და რამოდენიმედ სასულიერო წოდებაც. მაგრამ რახან სწავლის მიღებას და გონებრივ შრომის წარმომადგენლად გახდომას ხარჯი ჰ, მაშასადამე, ნივთიერი შეძლება უნდა, ხოლო ჩვენი გლეხობა ღარიბღატაკია, ვაჭრობა და ვაჭარი ხალხი სუსტი და უმნიშვნელოა, სასულიერო წოდება რიცხვით მცირეა, ამიტომ ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობა წოდებრივი შთამომავლობით დღესაც თავად-აზნაურობას ეკუთვნის და აქაც, ამ ახალ სფერაშიაც, თავის წოდებრივ უსაქმურობის მატარებელია. ამ აზრის სისწორეში მკითხველი დარწმუნდება, თუ შემდეგ ციფრებს ჩაუკვირდება. ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის საშუალო სასწავლებლებში (ქალებისა და ვაჟებისაში), რომელნიც კავკასიის სამოსწავლო ოლქის უწყებას ექვემდებარებიან, იყო სულ მოსწავლე:

წელნი	რიცხვით				პროცენტობით			
	თავად-აზნაურ.	სასულიერო წოდ.	მოქალაქ. წოდება.	გლეხი	თავად-აზნაური.	სასულ. წ.	მოქალაქ. წოდება.	გლეხი.
1887	2806	198	948	137	65,5	4,6	22,1	3,2
1888	2782	183	978	130	65,5	4,3	23,1	3,1
18 9	2839	166	1037	166	65,1	3,8	23,8	3,8
1890	2925	167	1178	173	63,2	3,6	24,2	3,8
1891	3046	164	1262	183	63,1	3,1	26,1	3,8
1892	3145	151	1362	199	62,6	3,0	27,1	3,9
1893	3329	154	1447	205	62,6	2,9	27,2	3,9
1894	3537	171	1695	211	60,7	2,9	29,1	3,6
1895	3831	201	1717	246	62,3	3,2	27,9	4,0
1896	3929	224	1973	273	59,1	3,3	29,7	4,1
1897	4031	245	2327	314	56,3	3,4	32,5	4,4
189	4390	270	2501	398	55,5	3,4	31,7	5,0
1899	4490	276	2833	477	53,1	3,3	33,9	5,7
1900	4610	306	3193	522	51,6	3,4	35,8	5,9
1901	4797	355	3289	608	51,2	3,8	35,1	6,5
1902	4839	391	3645	680	49,1	3,9	37,0	6,9

მართალია, თავად-აზნაურთა რიცხვს სკოლებში შედარებით აკლდება, 16 წლის განმავლობაში დაიკლო 20%-ით, მაგრამ მაინც დღესაც უმრავლესობას ისინი შეადგენენ საშუალო სასწავლებლებში (49,1%). მართალია ისიც, რომ ამ სტატისტიკაში ნახსენები „თავად-აზნაურები“ მარტო ქართველები არ არიან, არამედ სხვა-და-სხვა ეროვნებათაგან შესდგებიან, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ „მოქალაქეთა წოდების“ 37,0%-ში (1902 წ.) ქართველობას მცირე ადგილი უკავია და უდიდესი ნაწილი სომხობისაა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველ მოსწავლეთა უმრავლესობა საშუალო სასწავლებლებში თავად-აზნაურების შვილები არიან და არა გლეხობისა გინდ მოქალაქეთა წოდების წარმომადგენელნი. თავად-აზნაურთა უმეტესს რიცხვს საშუალო სასწავლებლებში შეეთანხმება ცოტად თუ ბევრად იმავე წოდების სტუდენტთა რიცხვი უნივერსიტეტებსა და საზოგადოდ უმაღლეს სასწავლებლებში. რამდენადაც მეტი თავად-აზნაური ასრულებს საშუალო სკოლას, იმდენადვე შედარებით მეტი სტუდენტი ეყოლება რუსეთში ამ წოდებას. და ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ჩვენი ინტელიგენციის დიდი ნაწილი შესდგება თავად-აზნაურობისაგან, რომელსაც შრომა-გარჯის სიყვარული და საქმიანობის ჩვეულება არ მოსცემია ისტორიითა და ჩამომავლობითი მემკვიდრეობით და არ ეძლევა ეს თანამედროვე სწავლა-აღზრდის გარემოებითაც.

ყოველ შემთხვევაში, ასეა თუ ისე, ფაქტი უცილობელია და ყოველ ეჭვს გარეშე,—რომ ქართველი ინტელიგენცია მეტად უმოძრაო, უმოქმედო და ფუქსავატია. დრო და ხანი მიდის, წელიწადი წელიწადს მისდევს, ყოველ წლივ რამდენიმე ქართველი ასრულებს სწავლას საშუალო თუ უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ამით დიდი არაფერი ცვლილება ეტყობა ჩვენს საზოგადო გონებრივ მდგომარეობას და კულტურულ მიმდინარეობას. ჩვენს ცხოვრებას არ ემჩნევა კვალი და გავლენა იმ განათლებულ ახალგაზდებისა, რომლებიც მუდამ ემატებიან ჩვენს პატარა საზოგადოებას. და ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ამ „განათლებულთ“ არა აქვთ საქმიანობის სიყვარული და არ ულვივით გულში საზოგადო მოღვაწეობისადმი მისწრაფება და აღფრთოვანება. იმათ იციან მხოლოდ ენის ტიკტიკი, ჭორების ხვეტა და ბულვარებზე ცარიელი სიტყვებით გულმტკივნეულობის გამოჩენა და მამულიშვილობის გაწევა, მაგრამ საქმე, ნამდვილი

კარგად კიდევ არ იციან. ისეთი მოსახლე, ორი მოსახლის თესლის გამოსაკვები ბოლი რომ არ აქვს, ხშირად 5-6 მოსახლეს ყიდულობს: სასურველად ვერ ჰკვებავს, უადგილობის გამო სახლში მჭიდროდ ჰყავს დასმული, ყაჭი ფუჭდება და შრომა უნაყოფოდ რჩება. კარგია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდნენ გურულები და ყაჭს ზომიერად დაისვამდნენ. დადგა გაზაფხული თუ არა, თავი იჩინა სიმინდის ჩრჩილმა. თუმცა ჩვენში ბევრ ადგილას გავრცელდა დარიგება სიმინდის ჩრჩილთან ბრძოლის შესახებ, მაგრამ გურულებმა ყურიც არ ათხოვეს ამ დარიგებას, რადგან საძნელოდ მიაჩნიათ იმისი სისრულეში მოყვანა. თუმცა აგრონომის სიტყვით, ჩრჩილიან სიმინდის ჭამა მავნებელია და ასეთი სიმინდი პირუტყვს უნდა დაეთმოს, მაგრამ აგერ სამი წელიწადია, რაც გურულები ჩრჩილიან სიმინდით იკვებებიან. ხშირმა წვიმებმა მოგვაბეზრა თავი. ისეთი სუსხიანი დარებია, რომ უპალტოოდ ჭერზე ვერ გამოვდივართ. სიცივემ შეაფერხა მცენარეულობა. ისეთი ყვავილები, მარტის პირველ რიცხვებში რომ იშლებოდა, მხოლოდ ეხლა იწყებს გაშლას. თუმცა გურულებს იარაღი ჩამოერთვათ, მაგრამ საავგა ცოდ კიდევ შოულობენ ტყვია-წამალს. ძარცვა-გლეჯა, დობე-ყორეების დალეწვა და წისქვილ-სასიმინდეების გადაბუგვა ბევრმა ხელობად გადაიქცია.

ი. დონეშვილი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 აპრილი

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება საიმპერატორო კარის მინისტრს: „შორეულ-აღმოსავლეთში ომისა გამო ბრძანება გავეცით, დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ სამოქალაქო უწყებათა ხარჯების შემცირებას. ამისთვის სახელმწიფო საბჭოს სახელმწიფო ეკონომიის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული საბჭო. რადგან საიმპერატორო კარის სამინისტროს ხარჯების ნაწილი იფარება ხაზინიდან გაღებულ ფულით, საკეთილოდ ვცანით გადათვალიერებულიყო აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა საიმპერატორო კარის სამინისტროსი იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შეიძლებოდა ამ ხარჯის შემცირება. გადათვალიერება უნდა მომხდარიყო იმ წესით, რა წესიც ჩვენ აღვნიშნეთ. დღეს, დავამტკიცეთ-რა თქვენ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებანი საიმპერატორო კარის სამინისტროს ხარჯების შემცირების შესახებ, ვბრძანებთ: მთელი თანხა შემცირებულ კრედიტებისა, რაიცა შეადგენს ცხრაასს სამოცდა თხუთმეტი ათას ასს ოცდა ჩვიდმეტს მანეთს, რომელსაც უნდა დაემატოს განსაკუთრებულ წყაროდან ოცდა ოთხი ათას ექვსას სამი მანეთი, ხოლო სულ ერთი მილიონი მანეთი, ჩაირიცხოს ხაზინის თავისუფალ თანხებში და ამა 1904 წლის სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვიდან საიმპერატორო კარის სამინისტროსთვის დანიშნული ფული ამდენით შემცირდეს“. ნამდვილზე მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: „ნიკოლოზ“. პეტერბურგი, 1 აპრილი 1904 წელი.

პეტერბურგი. რუანისა და რენის საგენერალო საბჭოებმა გადასწყვიტეს, თანაგრძნობის ადრესები გაუგზავნონ რუსეთს „პეტროპავლოვსკ“-ის დაღუპვის გამო.

პარიზი. პელტანმა რუსეთის საზღვაო სამინისტროს შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „საფრანგეთის ფლოტი, ღრმად შეწუხებული საშინელის უბედურებით, რომელიც ეს არის ეხლა გავიგეთ, უცხადებს რუსეთის ფლოტს გულწრფელ მწუხარებას ამდენ მამაც მეომრის სიკვდილისა და დიდებულ ადმირალის დაღუპვის გამო, იმ ადმირალისა, რომელიც რუსეთის ფლოტის ისტორიასა და სამხედრო-საზღვაო მეცნიერებაში დასტოვებს სასახელო ხსოვნას. ამასთან გილოცავთ დიდის მთავრის კირილე ვლადიმირის ძის სიკვდილისაგან გადარჩენას.

პორტ-არტური. 1 აპრილი. (საკუთარ კორესპონდენტისაგან). 31 მარტს, ღამე, ჩვენი ნაღმიან გემების რაზმი ზღვაში გავიდა და შეხვდა მტრის ნაღმიან გემებს. ასტყდა ბრძოლა, რომელმაც დილის შვიდ საათამდე გასტანა. ნაღმიან გემს „ბეზსტრაშნი“-ს გარს შემოერტყა მტრის სამი ნაღმიანი გემი და ჩაძირა. საშველად გავიდა კრეისერი „ბაიან“-ი. მტრის ნაღმიანი გემები გაბრუნდნენ. შემდეგ გამოჩნდა იაპონიის ესკადრა. რვა საათზე ჩვენმა ესკადრამ დაიწყო რეიდზე გამოსვლა და გაემართა მტრის ესკადრისაკენ, რომელმაც უკან დაწევა დაიწყო, მაგრამ ჩქარა გამოჩნდა მტრის 16 დიდი გემი. ჩვენი ესკადრა რეიდისაკენ დაბრუნდა და მტრის შესახვედრად საომრად რიგზე დაეწყო; ამ დროს ჯავშნიან გემ „პეტროპავლოვსკ“-ის ქვეშ აფეთქება მოხდა და ორის წუთის შემდეგ გემი წყალში ჩაიძირა. გადარჩნენ დიდი მთავარი კირილ ვლადიმირისძე, გემის უფროსი კაპიტანი იაკოვლევი, ლეიტენანტი უნკოვსკი, მიჩმანები: შლიპპე და იენიში და 50-მდე ჯარის კაცი. ჯავშნიან გემს „პობედა“-ს შუაგული შეენგრა, რის შემდეგ დაუყოვნებლივ შევიდა შიდა რეიდში. მტრის ესკადრა ორად გაიყო და მიიმალა. ამ ხნის განმავლობაში ქარი ჰქროდა და საღამოს კი ქარბუქი ატყდა.

პორტ-არტური. 1 აპრილი. (საკუთარ კორესპონდენტისაგან). 31 მარტს ექვს საათზე ჩვენს შვიდ ნაღმიან გემსა და კრეისერ „ბაიან“-ს ბრძოლა ჰქონდათ იაპონიის გემებთან, რომლის დროსაც დაიღუპა ნაღმიანი გემი „ბეზსტრაშნ“-ი. დილის შვიდ საათზე დაბრუნდა 5 ნაღმიანი გემი და კრეისერი „ბაიან“-ი, ხოლო ჯავშნიანი გემი „პეტროპავლოვსკ“-ი, „პოლტავა“, „პობედა“, „პერესვეტ“-ი და „გაიდამაკ“-ი ზღვაში გავიდნენ. დილის ათის ნახევარ საათზე აფეთქდა ჯავშნიანი გემი „პეტროპავლოვსკ“-ი, რომელიც ორის წუთის შემდეგ ჩაიძირა. იაპონიის ესკადრა დღის სამ საათამდე მოსჩანდა.

სევასტოპოლი. დიდ ოკეანეს ფლოტის უფროსად დანიშნული ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი პეტერბურგს მიდის.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატის“ კორესპონდენტი 30 მარტს ტოკიოდან დეპეშით იტყობინება: იაპონიის მეორე არმიის გადაყვანა უნდოდათ, როგორც აქ ჰგონიათ, ელიოტის კუნძულების პირდაპირ, ბიცზივოში, ე. ი. იქ, სადაც 1894 წელს გადაიყვანეს, მაგრამ ადმირალ მაკაროვის პორტ-არტურიდან რამდენიმე მამაცურ გამოსვლისა გამო გადასწყვიტეს მეორე არმია გადაიყვანონ კორეიაში, იალუს მახლობლად. სიენჩიონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, ანჩჟუსა და იჩჟუს შუა ნაპირზე ჯარის გადაყვანა გაცხარებულია. ადმირალი ტოგო თავის ფლოტის უმთავრესის ნაწილით ჩჟილის სრუტეში დადის და ამ ჯარს იცავს.

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). „დეილი ქრონიკლ“-ს ტოკიოდან ატყობინებენ, ვიკონტი აოკი განსაკუთრებულის მინდობილობით გერმანიაში მიდისო.

(სავაჭრო სატელეგრაფო სააგენტოსაგან)

2 აპრილი

პეტერბურგი. დიდის მთავრის ბორის ვლადიმირის ძის დეპეშა, გამოგზავნილი ლიაოიანიდან დიდის მთავრის ვლადიმერ ალექსანდრეს ძის სახელობაზე: „დიდი მთავარი კირილე გემის აფეთქების დროს ხიდის მარცხენა მხრისკენ გაექანა, ხელით ჩამოეშვა პალუბაზე, საიდანაც ტალღამ ზღვაში გადააგდო და კარგა მანძილზე ჩასძირა. სხვის დაუხმარებლად ამოცურდა წყლის სიღრმიდან, ხელი სტაცა ორთქლის კატერის სახურავს და ამ ნაირად ათი წუთი დაჰყო. მერე ნაღმიანმა გემმა „ბეზშუმნი“-მ უშველა და აიყვანა. დიდის მთავრის ადიუტანტი კუბე და მოსამსახურე რუდეკოვი დაიღუპნენ.

ლონდონი. აქაურ გაზეთების ცნობებით, ადმირალ მაკაროვის დაღუპვა იაპონიის მცხოვრებთა შორის მწუხარებას იწვევს.

„დეილი ექსპერს“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: პირველი ცნობა რუსეთის ფლოტის უფროსის დაღუპვის შესახებ აქაურმა გარეშე საქმეთა სამინისტრომ ნიუიორკიდან მიიღო.

„დეილი ქრონიკლ“-ი სწერს: ის დიდსულოვნება, რომლითაც რუსეთის ხალხი იტანს სამწუხარო ამბებს, დამახასიათებელია დიდებულ ერისა, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ძალა და დარწმუნებულია თავის მისიაში. „სტანდარდ“-ი სწერს: უკანასკნელი ბრძოლა პორტ-არტურთან დასაწყისია ომის ახალ სერიოზულ ხანისა.

რომი. „ტრიბუნა“ მოწინავე წერილს უძღვნის მაკაროვის ხსოვნას, რომელიც მსხვერპლია თავისავე სიმამაცისა.

ბერლინი. „ფოსიშე ცაიტუნგს“ ატყობინებენ რომიდან: იმპერატორმა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს დეპეშა, რომელშიაც გამოსთქვა ღრმა მწუხარება პორტ-არტურთან მომხდარ უბედურობისა გამო.

პარიზი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს დეპეშა, რომელშიაც გამოსთქვა მხურვალე მწუხარება საფრანგეთის მთავრობისა და ხალხისა „პეტროპავლოვსკ“-ის დაღუპვისა გამო. დელკასე მივიდა რუსეთის საელჩოში და მწუხარება განუცხადა ნელიდოვს.

პეტერბურგი. შავის ზღვის ფლოტის უფროსი ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი დაინიშნა დიდ ოკეანეს ფლოტის უფროსად.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 აპრილი

ლონდონი. („რეიტ. სააგ.“). გაზეთი „ტაიმს“-ი იუწყება: 26 მარტს წითელ კერპის ხეობაში ტიბეტელებმა კიდევ სცადეს წინააღმდეგობის გაწევა ინგლისის ექსპედიციისათვის, რომელიც წინ მიიწევდა. ინგლისელებმა ტიბეტელების მაღლობზე მეოთხე ზარბაზნები ჩააჩუმეს, რის შემდეგაც პიონერებმა გასავალი აიღეს. ტიბეტელებს 200 კაცი მოუკლეს. ინგლისელებს მოკლული არა ჰყავთ და მხოლოდ 10 კაცი მსუბუქად დაეჭრათ.

ვაშინგტონი. („რეიტ. სააგ.“). პენზაკოლაში, სამხედრო გემ „მისური“-ზე სროლის ვარჯიშობის დროს ზარბაზანი გასკდა. დაიღუპა 26 კაცი. ამათში რამდენიმე აფიცერია.

პორტსმუტი. („რეიტ. სააგ.“). აღლუმის დროს პორტსმუტის ნავთ-სადგურში ერთი ნაღმიანი გემი ქვებზე გაირიყა. არავინ არ არის მოკლული, მაგრამ შესაძლებელია, რომ გემი აღარ გამოდგეს.

ლონდონი („რეიტ. სააგ.“). დეპუტატთა პალატა. ბროდრიკმა სთხოვა პალატას: ტიბეტში საქმის გამწვავებისა გამო ნება დართეთ ინდოეთის ჯარს ინდოეთის გარედ მოქმედებისაო. ამასთან განაცხადა, 18 მარტს მომხდარ ბრძოლას შედეგად ის მოჰყვა, რომ ექსპედიციამ მიზანს მიაღწიაო. ბროდრიკმა წაიკითხა პოლკოვნიკის იონხეზბანდტის დეპეშა, რომ გენერალი მაკდონალდი 29 მარტს გიანგცემდე მივიდა. ტიბეტელები სულით დაეცნენ. ჩინეთის რწმუნებული მა ინგლისელებთან მივიდა. ამ რწმუნებულმა სამართლიანად სცნო ექსპედიციის გაგზავნა და აღნიშნა ინდოეთის მთავრობის მოთმინება ტიბეტის მთავრობის მიმართ, რომელიც სცდილობდა მეორე შორებელ სახელმწიფოსთან დამეგობრებას იმ დროს, როდესაც ტიბეტის მთავრობა სცდილობდა შეჭრილიყო ინდოეთის სამფლობელოში. პეტერბურგს გაიგზავნა დალაილამას სასულიერო მისსია. შემდეგში რუსეთის მთავრობამ ტიბეტში მომხდარ ამბების თაობაზე წარმოადგინა დამამშვიდებელი საბუთები და ინგლისის მთავრობამ განუცხადა რუსეთისას, რომ ინგლისს გულდამშვიდებით არ შეუძლიან უცქიროს რომელსამე სახელმწიფოს ცდას ტიბეტში თავის ინტერესთა უპირატესობის მოსაპოვებლად, ან ლხასში მისიის გაგზავნას იმ აზრით, რომ ტიბეტის მთავრობაზე გავლენა მოიპოვოს ან კიდევ იმ მისწრაფებას, რომ ლხასში თავისი პროტექტორატი დააწესოს. ყოველივე ასეთი ღონისძიება უფრო გაამწვავებს უკვე გამწვავებულ მდგომარეობას. ინგლისს სრულებით არა აქვს აზრად, ტიბეტი თავის სამფლობელოს შეუერთოსო. ბროდრიკის წინადადება მიღებულ იქმნა 270 ხმის უმეტესობით 61 ხმის წინააღმდეგ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გარჯა და მუშაობა ყველას ეძნელება და არ ეხერხება. ჩვენში მოიპოვება არა ერთი და ორი ისეთი ინტელიგენტი, რომლის მოღვაწეობა და საზოგადოებისთვის მუშაობა მარტო იმით გამოიხატება, რომ იგი, როცა სამსახურიდან მოიცლის, ბულვარზე დასეირნობს, თავის ნაცნობებს ამა თუ იმ გაზეთის შესახებ გაელაპარაკება, ორიოდე სიტყვით ჩვენს ცნობილ „გარეშე მტრებს“ შეეხება, გამოიჩენს ცარიელს და იაფ მამულიშვილობას და ამით თავის თავს და ბევრ სხვებსაც ატყუებს, რომ ვითომ იგიც ანგარიშს უწევს მამულიშვილურ მოვალეობას და ეწევა შინაარსიან ცხოვრებას. პრტყელ-პრტყელი სიტყვები და უმნიშვნელო ფრაზები ჰფარავს ბ-ნ აკადემიელის გონება-ზნეობის სიღატაკეს და უშინაარსობას.

შეიძლება, ვინმემ ეს მოვლენა იმ გარემოებით ახსნას, რომ საკუთარი პერანგი, პირადი ეგოიზმი ყოველთვის უფრო ახლობელი და საინტერესო საგანია ადამიანისათვის, ხოლო საზოგადო საქმეებისათვის შრომა და ჯაფა მოითხოვს ვიწრო პირად „მე“-ს უარის ყოფას და უდარდელს სიმშვიდეზე ხელის აღებას. ამ აზრში მხოლოდ ნაწილია სიმართლისა და არა სრული სიმართლე. ქართველი ინტელიგენტი ისევე უჩინო და უბარაქოა თავის პირად საქმეებში, როგორც უგულო და უხალისო საზოგადოებისათვის მუშაობაში. მას არ აქვს ის ფხა, რომელიც ახასიათებს მომქმედ და ფხიზელ ადამიანს. გერმანიაში ვაჭარი ახერხებს წლების განმავლობაში თანდათანის მუშაობით როგორც ვაჭრობის წარმართვას, ისე სამეცნიერო წიგნის შემუშავებასაც; ექიმი სწამლობს ავადმყოფებს, მაგრამ იმავე დროს აგებინებს ფართო საზოგადოებას თავის ცოდნისა და გამოცდილების ნაყოფს; იურისტი ადვოკატობს, მაგრამ არ ივიწყებს დაბალ ხალხსაც და აცნობს არსებულ კანონებს და ამა თუ იმ უფლებრივ დადგენილებას. ერთის სიტყვით, მეცნიერებას, პრესსას, მწერლობას ემსახურებიან იქ არა მარტო პროფესიული მეცნიერები, ჟურნალისტები და მწერლები, არამედ ბევრი და ძალიან ბევრიც ისეთები, რომლებიც თავისი სამსახურითა თუ ხელობით სულ სხვა საქმეზე არიან მიჩერებულნი. რათა? იმიტომ, რომ იქაური ადამიანი სულ სხვა გვარადაა აღზრდილი: მას შეუძლიან იგემოს და დაიფასოს ის ზნეობრივი დაკმაყოფილება და სიტკბოება, რომელსაც გამოიწვევს ხოლმე ადამიანში მოვალეობის შესრულება და თავისი შრომის სასარგებლო ნაყოფის დანახვა.

ჩვენში? ჩვენში სრულიად არ გაეგება ინტელიგენციის უმრავლესობას ამგვარი მაღალი ხარისხის სიხარული და სიტკბოება. ზნეობრივ მოვალეობას და დაკმაყოფილებას ისე ნაკლებად ჰგრძნობს იგი, რომ ამა თუ იმ იდეალურ მისწრაფებას დიდ ხანს ვერ ინარჩუნებს. დაბრკოლებას ვერ ებრძვის, მოთმინებას ვერ იჩენს, ერთხელ უცებ და გატაცებით არჩეულ მიზანს მალე ივიწყებს და დაწყებულ საქმეს დასაწყისშივე ჩხირს ატეხს და სამუდამოდ თავს ანებებს. ასეთია ბედი თითქმის ყოველ-გვარ ჩვენ საზოგადო საქმეებისა. ყოველი საზოგადო საქმე იწყება ჩვენში, როცა კი იწყება, საკვირველის ენერგიით და გატაცებით; იგივე საქმე ჰქრება მეორე დღეს იმავე ენერგიისა და გატაცების უქონლობის მიზეზით...

ეს არის მოვლენა, რომელსაც, ვითარცა დამახასიათებელ ნიშანს, გადმოგვცემენ მოგზაურები კანაკელთა და საერთოდ ველურ ხალხთა შრომა-საქმიანობის შესახებ... იმათთან მსგავსება ამ შემთხვევაში მაჩვენებელია ჩვენი კულტურულ ჩამორჩენისა და განუვითარებლობის...

ფ. გოგიჩაიშვილი.



საათის საწყობი
იულიუს გენესი
ტფილისი, დვორცოვი ქუჩა.

მივიღეთ მრავალი საათი—კედლისა და სტოლისა. ყოველთვის მრავლადა გვაქვს ყოველგვარი საათ ჯიბისა შვეიცარიის საუკეთესო ქარხნებისა. საწყობი ჰკისრულობს აგრეთვე საათების შეკეთებას, რაიცა სწრაფად და პირიანად სრულდება. ფასი ყველა საქონელზე ზომიერია.

პრეის-კურანტი მოთხოვნილებისათანავე მსურველს უსასყიდლოდ ეგზავნება.
(25—6.—12)

ლექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.).